პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 აგვისტო ოთხშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 198 (14802)

XXIV — დიადი თარიღებიდ შესახვედრად

50

ოცი წელია მ. ხპანდერაშვილი თავდადებით შრომობს რუსთავში, ხალისით გადასცემს თავის მდიდარ გამოცდილებას ახალგაზრდა მეტალურგებს. შრომით ფასდება ჩვენში ადამიანი. რუსთავის მეტალურგებმაც ღირსეულად დააფასეს მ. ხპანდერაშვილის შრომა და იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. სახელოვანი მეფოლადე სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავ ვახტზე დგას და სამშობლოს გეგმის გადამეტებით აძლევს ათობით ტონა ფოლადს.

სურათზე: მ. ხპანდერაშვილი.

ფოტო მ. მორეშუნოვისა. (საქდისის ფოტოქრონიკა).

მეშენგელთა ნოგათი

რუსთავი. (საკ. კორ.). სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს რუსთავის ამწესამშენებლო ქარხნის კოლექტივი. არც თუ დიდი ხნის წინათ აქ აითვისეს ახალი კონსტრუქციის ძძლავრი ამწე მექანიზმის წარმოება, რომელიც ფართო გამოყენებას ჰპოვებს ჩვენს სახალხო მეურნეობაში.

კარზეა ახალი სასწავლო წელი

ახალი სასწავლო წლის მოახლოება მუდამ ათასგვარ საზრუნავთან არის დაკავშირებული. ცოდნისათვის დიდი ლაშქრობის დაწყების წინ განათლების ორგანოები, სკოლები, პედაგოგთა მთელი არმია, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები აჯამებენ გაწეული შრომის შედეგებს, სახავენ ქმედითს ღონისძიებებს ნაკლოვანებათა უსწრაფესი გამოსწორებისათვის. განუზომელია ის პასუხისმგებლობა, რაც აკისრია ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში, მის ნორმალურად დაწყებაში ყველას, ვისაც რაიმე საერთო აქვს სწავლასა და სწავლებასთან, მოსწავლეთა აღზრდასთან, ჩვენს სკოლასთან. ძნელია მოიძებნოს ისეთი ორგანიზაცია, საწარმო, დაწესებულება სკოლით არ ყოს დაინტერესებული. მით უფრო ძნელი საპოვნელია ადამიანი, რომელსაც სწავლასთან თუ სწავლებასთან, ან ორივესთან ერთად პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირი არა ჰქონდეს.

სკკპ XXIV ყრილობის, ჩვენი მზიური საქართველოსა და მისი კომპარტიის სახელოვანი ორმოცდაათი წლისთავის იუბილეს წინ გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ მოიცვა ჩვენი ცხოვრების ყველა უბანი. ახალი ვალდებულებები, რაც აღებული აქვთ სოფლისა თუ ქალაქის მშრომელებს, ყოველდღიურად ხორცს ისხამენ. ნაკისრ ვალდებულებათა შორის სასკოლო მშენებლობათა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებაც არის, ნორჩი თაობის, მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში ახალ წარმატებათა მოპოვებაც არის.

ახალ სასწავლო წელს ახალ შენობაში შეუდგება მეცადინეობას 90 სკოლა 28 ათასი მოსწავლით. უკანასკნელი მონაცემებით უკვე დამთავრდა ასზე მეტი სკოლისა და სკოლამდელი დაწესებულების კაპიტალური შეკეთება, აშენებულია ან მშენებლობის პროცესშია 30 ბაგა-ბაღი 4.430 ბავშვისათვის. განსაკუთრებით აგვისტო ნამდვილად დამკვრელურ თვედ ჰქონდათ მშენებლებს გამოცხადებული. და არა მარტო მშენებლებს. ამიტომაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სკოლების დიდი უმრავლესობა ჩინებულად არის მომზადებული 1970-1971 სასწავლო წლისათვის.

მოახლოებული სასწავლო წელი ბევრი რამით იქნება საგულისხმო. მოვიყვანთ რამდენიმე ციფრს. იმუშავებს 1.500-მდე საშუალო სკოლა, 70-მდე ერთეულით მეტი, ვიდრე გასულ სასწავლო წელს იყო. 500-მდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან იქნება გახანგრძლივებული დღის ჯგუფები 45.000-მდე მოსწავლისათვის. 1970-1971 სასწავლო წელს საქართველოს სკოლებში ისწავლის 30 ათასი მოსწავლით მეტი, ვიდრე გასულ სასწავლო წელს — სულ 973.600 მოსწავლე, ხოლო თუ ამას მივუმატებთ საღამოს სკოლების მოსწავლეთა რაოდენობას, მაშინ ციფრი 1 მილიონს ბევრად გადააჭარბებს. ამ სასწავლო წელს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსამზადებელ კლასებში ჩაბმული იქნება 36 ათასამდე ბავშვი.

ყველა ამ და ზრდის სხვა დიდებული ციფრების უკან დგას ის მშობლიური ზრუნვა, რასაც პარტია და მთავრობა, ჩვენი ხალხი იჩენენ მომავალი თაობის აღმზრდელი სკოლებისათვის. ხალხი უდიდესი პატივისცემით ეკიდება ბავშვთა სწავლა-აღზრდის პროცესის მთავარი ფიგურის — მასწავლებლის შრომას. მასწავლებელი ჩვენთან მოსწავლის მეორე მშობლად არის ჩათვლილი, და ეს სამართლიანადაც, რადგან მის შრომაზე, მის ხელოვნებასა და ოსტატობაზე ბევრად არის დამოკიდებული მოსწავლის ბედი, ბავშვის მომავალი.

სწორედ ამ ხელოვნებაზე, ამ ოსტატობაზე, აღმზრდელი პედაგოგის კვალიფიკაციაზე, სწავლა-აღზრდის დონის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებებზეა ლაპარაკი მასწავლებელთა ტრადიციულ აგვისტოს თათბირებზე, რაც მუდამ წინ უძღვის ახალ სასწავლო წელს. 75 ათასი მასწავლებლის, მათ შორის 1.200-მდე ახლად კურსდამთავრებულთა ფიქრი ამ დღეებში იმ უპირველესი საზრუნავის გარშემო ტრიალებს, რასაც ახალი სასწავლო წლის დაწყებისა და მისი ღირსეულად წარმართვის ამოცანები ჰქვია. საფიქრალი, საზრუნავი ბევრი აქვს პედაგოგს. მისი შესაძლებლობანი, პირადი თვისებები, პედაგოგიური ცოდნა და დახელოვნება ყოველგვარ პირობებში წყვეტს წარმატებათა ბედს.

აგვისტოს პედსაბჭოების დიდი საუბრები უმთავრესად სწორედ ამ საკითხებს უნდა შეეხოს. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ყურს უნდა უგდებდნენ დიდ პედაგოგიურ საუბრებს, გამოჰქონდეთ მათგან ჯეროვანი დასკვნები და მუდამ ეფექტური დახმარების ხელს უწვდიდნენ სკოლებსა და მის მოღვაწეთ. ახალი სასწავლო წლის დიდი ამოცანები განსაკუთრებულ საზრუნავს უჩენს ჩვენს კომუნისტ პედაგოგებს. ისინი პირადი მაგალითით და მთელი პარტიულობით წინ უნდა სწევდნენ სასკოლო მუშაობას, ამაღლებდნენ სკოლებში სწავლა-აღზრდის დონეს. სწორედ ისინი პირველ რიგში, უნდა ეხმარებოდნენ, მხარში ედგნენ ახალბედა, დამწყებ პედაგოგებს, გზას უკაფავდნენ მათ დიდ სააღმზრდელო სარბიელზე.

ახლა მთელი საბჭოთა სკოლა წარმატებით წყვეტს საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის ამოცანებს. მეცნიერებასა და ტექნიკაში მოპოვებული უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე საგრძნობლად ჯადამუშავდა სასკოლო კურსები მთელ რიგ საგნებში, მათ შორის ბიოლოგიაში, ქიმიაში, გეოგრაფიაში, საზოგადოებათმცოდნეობაში, ლიტერატურაში, ისტორიაში. გასულ სასწავლო წელს სამწლიანი პროგრამით მეცადინეობდნენ პირველი კლასები. სექტემბრიდან ახალი პროგრამების შეთვისებას შეუდგებიან მეორე და მეოთხე კლასები. მეშვიდე კლასით დაწყებული ახლა მიმდინარეობს ფაკულტატური სწავლება, რომელიც ხელს უწყობს მოზარდის ბუნებრივ შესაძლებლობათა და მისწრაფებათა გაღრმავებულ განვითარებას. სკოლის მასწავლებელს დიდ დახმარებას უწევს მასობრივ ინფორმაციათა საშუალებანი — კინო, რადიო, ტელევიზია. ყველაფერი დაქვემდებარებულია იმ მიზნისადმი, რომ ბავშვი იზრდებოდეს ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად, ცხოვრების კარნახით, ისე, როგორც ამას გვასწავლიან პარტია და ხელისუფლება.

სასწავლო წელი კარზეა. როგორ ხართ მომზადებული მისთვის? ეს უაღრესად სერიოზული კითხვაა და მას დადებითად უნდა გადაჭრა. მალე გამოცოცხლდებიან სკოლები. საზაფხულო არდადეგების პერიოდში დასვენებული, გაჯანსაღებული, სკოლაში სწავლას მოწყურებული მილიონნახევარი არმია მოსწავლე ახალგაზრდობისა ელის სასიხარულო ზარის დარეკვას. ყველა პირობა უნდა შევუქმნათ მათ სწავლისათვის, იმისათვის, რომ ისინი იღებდნენ იმის მაქსიმუმს, რის მიღებაც სკოლას შეუძლია. უდიდეს ყურადღებასა და ზრუნვას მოითხოვს ჩვენს სკოლებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში იდეური სისუფთავის დაცვა, ნორმალური სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნა. დიდია მშობელთა, ოჯახის პასუხისმგებლობა ბავშვთა ჯანმრთელობისათვის. ეს უკანასკნელი ხომ უპირველეს ყოვლისა პირადი ჰიგიენის დაცვაზეა დამოკიდებული.

დასამალავი არ არის, რომ ზოგან მოუწესრიგებელია სკოლებში კანალიზაცია და სხვა კომუნიკაციები, ხოლო ზოგიერთი სკოლის მესვეურთა მიზეზით დამყარებული არ არის ჯეროვანი სისუფთავე არც ეზოში და არც შენობაში. მაშინ როდესაც ჩვენს ქვეყანაში უდიდესი სახსრები იხარჯება ჯანმრთელობის დაცვისათვის, დიდი დანაშაული იქნება ვისიმე მიზეზით არ იქნას დაცული აუცილებელი და საჯალდებულო ჰიგიენური პირობები.

ეჭვი არ არის, რესპუბლიკაში, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებით დამდეგ სასწავლო წელს ყველაფერი იქნება გაკეთებული იმისათვის, რომ კიდევ უფრო ამამაღლოთ სკოლებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის დონე, რომ ჩვენს დიდებულ საიუბილეო თარიღებს ახალ-ახალი წარმატებებით შეხვდეს ჩვენი სკოლა.

გვირაბმშენებელთა ხუთწლეული

ბაკურიანი. (საკ. კორ.). საიუბილეო თარიღების აღსანიშნავ შეჯიბრებაში ახალი გამარჯვება მოიპოვა სოფლახტაშენის ტრესტის ბეთონრის სამმართველოს კოლექტივმა. მან 12 აგვისტოსათვის გაანადგა ხუთწლიანი გეგმა. შესრულა 14.291 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. თვითღირებულების შემცირებით დაზოგილია 426 ათასი მანეთი, ხოლო ზეგეგმითმა მოგებამ 389 ათასი მანეთი შეადგინა.

სამმართველოს კოლექტივმა მერვე ხუთწლედში ააშენა ახალი ითზვისის მეორე რიგის, ზედა რგანის, მერეევისა და ახალი დარკვეთის მეოთხე რიგის მაღაროები, კულტურისა და ბიონერთა სასახლეები.

ბეთონრელი გვირაბმშენებლები წლის ბოლომდე 1.800 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს შეასრულებენ.

საიუბილეო ვალდებულებათა ანგარიშში

დედაქალაქის ტყავის № 1 ქარხანა რესპუბლიკის ფეხსაცმლის საწარმოებს ძირითადად საძირე ტყავით ამარაგებს. აქ შვიდ თვეში საერთო-სასაქონლო პროდუქციის დავალებას 486 ათასი მანეთით გადააჭარბეს, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისას — 362 ათასი მანეთით, პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას — 3 პროცენტით.

დიდი ყურადღება ეთმობა საწარმოს თანამედროვე, უახლესი ტიპის მანქანა-დანადგარებით აღჭურვას. ექსტრაქტის განყოფილებაში დაიდგა ზტეგის ბარაბანი, „ხატუშბავი მოწყობილობა. ამ საამქროში მინიმუმამდე დაიყვანა დეფიციტური ქვირადღირებული სათრიმლავი მასალების დანაკარგები, საგრძნობლად გაუუმჯობესა მუშათა შრომის პირობები.

ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში წარმატებებს აღწევს ტყავის სათრიმლავი საამქრო, რომელსაც გ. ჭუმბურიძე ხელმძღვანელობს. ასევე კარგი მაჩვენებლები აქვს კომუნისტური შრომის იმ ბრიგადას, რომელსაც ლ. ზიკოვი უძღვება. ღიტურ დავალებებს აგრეთვე გადაჭარბებით ასრულებენ მუშები კ. აგლაძე, ვ. კაპანაძე, კ. გოგაშელი და გ. კელდერაშვილი.

ასორტიმენტიც, ნომენკლატურაც

ქუთაისი. (საკ. კორ.). დიდი მოწონებით სარგებლობს ქუთაისური სასადილო მაგიდები, ხაწოლი გარნიტურები, კარადები, სავარძლები და სხვა სახის ავეჯი. მიმდინარე წლის განვლილ შვიდ თვეში ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა ურაკლამაციოდ იმუშავა, 177 ათასი მანეთით გადააჭარბა სასაქონლო პროდუქციის ბრუნვის, 177 ათასი მანეთით გადააჭარბა სასაქონლო პროდუქციის ბრუნვის, ხოლო 121 ათასი მანეთით — რეალიზაციის მოცულობის დავალებას.

შეკვეთებმა, რომლებიც წარმატებით ანაღდებენ სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს, დაგალებას ყველა დაწესებული ასორტიმენტისა და ნომენკლატურის მიხედვით გადაამეტეს, გეგმის ზევით გამოუშვეს 118 ათასი მანეთის ღირებულების ავეჯი, 17.300 მანეთის ძვირფასი ხის სუვენირები და 2.500 კვადრატული მეტრი პარკეტი. ამასთან შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3,1 პროცენტით აამაღლეს და მარტო ივლისში თვითღირებულების შემცირებით 10 ათასი მანეთი დაზოგეს.

მალე აქ საეჭვლოატაციოდ გადაეცემა რბილი ავეჯის საამქრო, რის შემდეგ ფაბრიკა ავეჯის გამოშვებას წლიურად 2 მილიონ 800 ათასი მანეთით გაადიდებს.



ქარგი. მოხავალი მოიყვანეს წელს ლენინგორის მაღალმთიანი რაიონის წინაგრის კოლმეურნეობაში. აქ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოხავლის აღება დასასრულს უახლოვდება. მექანიზატორებმა საშუალოდ ჰექტარზე გალეწეს 20-25 ცენტნერი ხორბალი. ეს გეგმით გათვალისწინებულზე ორჯერ მეტია.

მოხავლის აღებისთანავე მექანიზატორებმა დაიწყეს ხვნა. სულ 820 ჰექტარი უნდა მოხნან. უკვე მოხნულია ნახევარზე მეტი.

სურათებზე: წინაგრელი მოწინავე მექანიზატორები მოხავლის აღების დროს (მარცხნივ). ქვემოთ ხურათზე აღებულია ხვნის მომენტი.

ფოტო ლ. ბურეშვილისა. (საქდისის ფოტოქრონიკა).

ნუთი თვით აღრე

თბილისი. (საკ. კორ.). აღმავლობით მუშაობს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის საამინისტროს ჩხარის იატაკის ფილების ქარხნის კოლექტივი, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ს. მხეიძე უძღვება.

რეზერვების გონივრული გამოყენებით, მომჭირნეობით, საარეტტო სიმძლავრის გადიდებით, ტექნიკური პროგრესით ქარხნის კოლექტივმა ხუთი თვით ადრე შეასრულა პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა — მშენებლობებს გაუგზავნა 1.444 ათასი მანეთის პროდუქცია, დაზოგა ასეული ათასობით მანეთი.

ქარხნის კოლექტივი პროდუქციას მომავალი წლის ანგარიშში იძლევა.

დაზოგილი მასალები

კასპი. (საკ. კორ.). „კასპიელექტროაპარატის“ კოლექტივმა მიმდინარე წლის შვიდ თვეში 4 მილიონ 911 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქცია გამოუშვეს, გეგმა კი 4 მილიონ მანეთს ითვალისწინებდა. გადაჭარბებით იქნა შესრულებული პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც.

ახლა ქარხნის ბრიგადებში, ცვლებში, სამჭრელებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება მასალების ეკონომიური ხარჯვისათვის, რადგან ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს სკკპ XXIV ყრილობის გახსნის დღეს იმუშაოს დაზოგილი მასალებით.

კომუნისტური შრომის ფაბრიკაში

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). მარეულისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც მეექვსე წელია კომუნისტური შრომის საპატიო სახელს ატარებს, თავდადებულად შრომობს სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ფაბრიკის კოლექტივმა შვიდ თვეში გამოუშვა 207.400 ცალი სკამი, დიდძალი მაგიდები, ტანსაცმლის საკიდები, საბავშვო სკამები. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 2.032 ცალი თეატრალური სკამი.

მსვნელ-მთესველთა შრომითი გამარჯვება

კრასნოდარის მხარე

კრასნოდარის მხარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ასრულებენ პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მარცვლეულის საერთო მოსავლის გასადიდებლად, ორგანიზებულად აიღეს თავთავიანი და სამარცვლე პარკოსანი კულტურების მოსავალი. ამ კულტურების ნათესების მთელი ფართობიდან მხარეში მიმდინარე წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 35,6 ცენტნერი მარცვლეული.

ყუბანის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სამშობლოს ბეღლებში შეინახეს 3.294 ათასი ტონა მარცვლეული (სიმინდისა და ბრინჯის გარდა). გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ხაფურაქე და პარკოსანი კულტურების დამზადების გეგმა.

სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვა გეგმის გადამეტებით გრძელდება. სოფლის მეურნეობის მშრომელები მუშაობენ ბრინჯისა და სიმინდის შესყიდვის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ყუბანის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აღგენენ საოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების კონკრეტულ გეგმებს, ფართოდ გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ყირიმის ოლქი

ყირიმის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ასრულებენ პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, მოიწიეს მარცვლეულის უხვი მოსავალი, ორგანიზებულად ჩატარეს მოსავლის აღება და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურეულის მიყიდვის გეგმა. მთელ ნათეს ფართობზე ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საშუალოდ ჰექტარზე მოიწიეს 33,8 ცენტნერი მარცვლეული.

სამშობლოს ბეღლებში შენახულია ექვსასი ათასი ტონა მარცვლეული (სიმინდისა და ბრინჯის გარდა). პურის მიმღებმა პუნქტებმა მიიღეს 530 ათას ტონაზე მეტი უძვირფასესი სასურსათო კულტურა — ხორბალი. ვერ შესრულდა საფურაქე კულტურების დამზადების გეგმა. პეურეულის მოსავლის აღებასა და დამზადებაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდი დახმარება გაუწიეს ოლქის სამრეწველო საწარმოთა და სატრანსპორტო ორგანიზაციათა კოლექტივებმა.

სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვა გრძელდება.

ყირიმის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ბრინჯის, სიმინდის, ყველა სხვა კულტურისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

უდიდეს მშენებლობაზე

ერევანი. სომხეთის უდიდესი მშენებლობის — არპა-სევანის 48-კილომეტრიანი ჰიდროგვირაბის მშენებლებმა ნახევარი გზა გაიარეს.

დღედაღამ ჩქეფს მუშაობა ვარდენისის ქედის სიღრმეში გაყვანილ სანგრევში. ძველ პირობებში მუშაობენ გვირაბგამყვანები გ. გასპარიანი, ს. ვარდანიანი, რ. ფაღრადიანი და სხვები. ნაპრალებიდან გადმოდის თბილი წყალი. გვირაბში ტემპერატურა ორმოც გრადუსს აღწევს.

მშენებლებმა გააჩაღეს შეჯიბრება სკკპ 24-ე ყრილობის აღსანიშნავად. დღითიდღე ახლოვდებიან დრო, როცა მიწისქვეშა ტრასით მთის მდინარის ირაბის წყალი სევანისაკენ გაიკაფავს გზას. ტბა ყოველწლიურად მიიღებს დაახლოებით სამს მილიონ კუბურ მეტრ წყალს. (საკდესის კორ.).

საერთაშორისო კონფერენცია

მინსკი, 24 აგვისტო. (საკდესის კორ.). პირველად საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ მსოფლიო ეკონომისტი-აგრარიკოსები. ღიღ მინსკში იხსნება სოფლის მეურნეობის ეკონომისტთა XIV საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაზე შეიკრიბნენ ყველა კონტინენტის ქვეყნების მეცნიერები და სპეციალისტები. განიხილავენ ათობით მოხსენებას, ერთმანეთს გაუზიარებენ ახრს ბრობლემებზე, რომლებიც ეროვნულ და საყოველთაო ინტერესს წარმოადგენენ.

თათბირობენ „ევთერის გუშაგები“

ლენინგრადი, 24 აგვისტო. (საკდესი). რადიოდაბრკოლებათა საერთაშორისო სპეციალური კომიტეტის სესია, რომელიც დღეს ლენინგრადში გაიხსნა, განიხილავს კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებათა (დაწყებული ტელეფონის ხაზებითა და თანამგზავრის სისტემებით დამთავრებული) მუშაობის საიმედოობის პრობლემებს.

სესიის მუშაობაში მონაწილეობს 21 ქვეყნის 130-ზე მეტი სპეციალისტი.

ვიდრე ზარი დაირეკებოდეს

რუსთავი. (საკ. კორ.). მალე დაირეკება სკოლის ზარი. ქალაქის სკოლები კარგად მოემზადნენ ახალი სასწავლო წლისათვის. მე-12 და მე-7 საშუალო სკოლებში დროულად დაამთავრეს მომდინარე რემონტი, შეაკეთეს სასკოლო ინვენტარი, ახალი მოწყობილობით შეიავსო კაბინეტ-ლაბორატორიები, სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები.

კარგად უზრუნველყო კაპიტალური რემონტის ჩატარება მე-6 საშუალო სკოლამ. აქ დიდძალი სამუშაოები შესრულდა. თითქმის ყველა საკლასო ოთახს გამოუცვალეს იატაკი, კარ-ფანჯრები, შეაკეთეს კედლები, სახურავი.

ახალ სასწავლო წელს მომზადებული ხვდებიან მე-10, მე-2 და სხვა საშუალო სკოლები.

ზ. მერკვილაძე.

ხობი. ჩვენს სკოლაში ბევრი რამ გაკეთდა. შესრულდა სკოლის შენობისა და დგამ-აგეჯის მიმდინარე რემონტი. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სკოლას ნაყოფიერ დახმარებას უწევს შეფი ორგანიზაცია — ხობის № 2 სამელიორაციო სამმართველო (უფროსი ს. აბრამია).

სკოლის ახალი წლისათვის მომზადებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიქვთ ხობის დაფნის კომბინატისა და ნოჯიხევის ჰიდროელექტროსადგურის სახელობის კოლმეურნეობის კოლექტივებს.

სასწავლო კაბინეტები შეივსო ხელსაწყოებით. აღრიცხულია პირველ კლასში მისაღებ ბავშვთა კონტინგენტი.

როგორც ყოველთვის, წელსაც მთელი პასუხისმგებლობით ვიშრომებთ იმისათვის, რომ ახალი სასწავლო წელი ნორმალურად დაიწყოთ.

ან. ბოლია, ხობის რაიონის ნოჯიხევის საშუალო სკოლის დირექტორი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ 1970 წლის 24 აგვისტოს გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი

ნიკოლოზ პორფილეს-ძე კანდელაკი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

• • •

შეიქმნა ნ. პ. კანდელაკის დამკრძალავი კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ამხანაგები: უ. ბ. ჯაფარიძე (თავმჯდომარე), ა. ჯ. ქუთათელაძე, ა. ა. დვალიშვილი, ვ. ბ. თოფურიძე, გ. გ. აბაშიძე, ვ. ნ. გოშაძე, ი. ნ. ჩხენკელი.

ნ. პ. კანდელაკის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ვიცოდეთ სიტყვის ფასი

● ახალციხელი კომუნისტების ნაკისრ ვალდებულებათა მესრულებისათვის ბრძოლაში

ჩვენს ხალხს უთქვამს: სიტყვა უაკმოდ მკვდარიაო. და მართლაც, რათ ვარგა ისეთი სიტყვა, რა მოსწენილიდაც უნდა იყოს ნათქვამი, თუ მას სასურველი შედეგი არ მოყვა, თუ არ განმტკიცდა იგი ჭეშმარიტი, კეთილი საქმით.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც სიტყვის კორიანტელს დაყენებენ ხოლმე, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მივა, უმოქმედოდნენ, უანგარიშოდ იჩენენ. არა თუ ნაკისრ ვალდებულებებს, გეგმებსა და ამოცანებს ვერ ასრულებენ. ასეთების ნინააღმდეგ უფრო მეტი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ.

ხაკ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებში ნაზგასმით არის ნათქვამი, რომ კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების პასუხისმგებლობა თვითეულ შრომითს კოლექტივში საქმის მდგომარეობისათვის, სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების განუხრელი შესრულებისათვის. კერძოდ, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ითქვა: „ვფიქრობ შეუფრთგდებით იმ ზოგიერთი ხელმძღვანელის ასეთ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას თავიანთი პირდაპირი მოვალეობებისადმი, რომლებმაც, როგორც ჩანს, დაივიწყეს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმების შეუსრულებლობა სახელმწიფო დისციპლინის, აგრეთვე პარტიული დისციპლინის უხეში დარღვევაა“.

პარტიის ახალციხის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყოველივე ამას რომ თავიანთ ნინებენ, მთელ ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას მიმართავენ მინდობილი საქმისათვის თვითეული ადამიანის პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ახლა რაიონში სულ უფრო და უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ხაკკ XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

ბევრი, ძალიან ბევრი ფაქტის მოყვანა შეიძლება იმის დასტურად, თუ როგორ ამაღლდა შრომითი კოლექტივების, ჩვენი ადამიანების პასუხისმგებლობა საერთო საქმისათვის, გაიზარდა მათი უნარი — დროზე დაძლიონ სირთულენი, ამრავლონ საშრომლოს ხვავი და ბარაქა.

არანელსაყრელი ამინდების მიუხედავად რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შარშან პირნათლად მოიხადეს ვალი საშრომლოს წინაშე — სახელმწიფოს მიჰყიდეს გაცილებით მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ვიდრე გეგმით იყო ვალდებულებული. ისინი დიდ ლენინურ იუბილეს პირნათლად, ხელდაშვებულებენ შეხვდნენ.

განსაკუთრებით იბეჭითეს აწყურის საბჭოთა მეურნეობის, ვალეს, ანის, ხეოთის კოლმეურნეობებისა და სხვა ხაზოგადოებრივი მეურნეობების მშრომელებმა, რომლებმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები და მნიშვნელოვანი მოგებით დაამთავრეს სამეურნეო წელი.

წარმატებანი მოიპოვეს ჩვენმა სამრეწველო საწარმოებმაც. წლიური დავალებები ვადაზე ადრე გაანაღდეს აკატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს, ქარხანა „ახალციხელექტროძრავი“, საკონსერვო ქარხნის, ხორცკომბინატის, საინკუბატორო სადგურის, ღვინის ჩამომსხმელი ქარხნის, „ახალციხეგაზის“ სამონტაჟო-საექსპლოატაციო კანტორის, თხევადი გაზის ჩამომსხმელი ბაზისა და სხვა კოლექტივებმა, რომლებმაც საერთო პროდუქციის წარმოება წინა წელთან შედარებით 11 პროცენტით გაზარდეს, გეგმის გადამეტებით რეალიზაცია უყვეს 604 ათასი მანეთის სხვადასხვა სახის საქონელს და 185 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

დიდი მუშაობა გასწიეს სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებმაც. მათ შარშან გეგმის გადამეტებით 246 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულეს. განსაკუთრებით ისახელა თავი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის 134-ე მოძრავი მექანიზებული კოლონის კოლექტივმა (უფროსი მ. მინასიანი), რომელმაც ათ თვეში გაანაღდა გასული წლის დავალებები და ახლა წარმატებით იბრძვის, რომ 7 ნოემბრისათვის შეასრულოს მიმდინარე, ხუთწლედის უკანასკნელი წლის მშენებლობის გეგმები.

ამ სახელოვანი კოლექტივის მაღნევებზე ნათლად მეტყველებს ისიც, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ორჯერ ზედიზედ დაიმსახურა სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროსა და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მშენებლებმა წელს 7 თვეში 868 ათასი მანეთის ნაცვლად 962 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულეს და 51 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება მისცეს სახელმწიფოს.

წარმატებით იბრძვიან სხვა სამშენებლო ორგანიზაციებიც.

მედიგებით უკმაყოფილო როდი ვართ. მაგრამ უფრო დიდი და პასუხსაგები ამოცანების წინაშე ნათ მეტი ხორცი, 250 ათასი ცალით მეტი კვერცხი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა და მხარი დაუჭირა ახალციხის რაიონის სოფლის მშრომელთა ინიციატივას — ყოველ კოლმეურნეობაში გაზარდონ და გაასუქონ თითო ღორი. რესპუბლიკაში უკვე ბევრი გამოეხმაურა ამ თაოსნობას, რომელიც ხორცის წარმოების შემდგომი გადდებებისაკენ არის მიმართული.

მაგრამ ვალდებულების აღება, თაოსნობის გამოჩენა, როგორც ზემოთ ვთქვით, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ გამარჯვება უკვე მოპოვებულია. ინიციატივას რომ ფრთები შეეხასა, ვცდილობთ ავამაღლოთ პირველ რიგში თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობა, გავაანალიზოთ, — გაბედულად და გულახდილად მსჯელობენ საქმეზე, იჩენენ ინიციატივას, აუენებენ პრაქტიკული მნიშვნელობის წინადადებებს, უშუალოდ მონაწილეობენ მათი ცხოვრებაში გატარებისათვის, იზრდება მათი ავანგარდული როლიც და პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობაც. ეს კი თავის მხრივ მთელი კოლექტივის წარმატებას განაპირობებს.

ჩვენ არაერთი ასეთი პარტიული ორგანიზაცია გვყავს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა. მის მრავალრიცხოვან პარტიულ ორგანიზაციაში, რომელიც 200-ზე მეტ წევრს აერთიანებს, ვერ ნახავთ კომუნისტს, პარტიული დავალება რომ არა ჰქონდეს. ისინი აქტიურად მონაწილეობენ პარტიულ კრებებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში, სისტემატურად იმალლებენ იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს, სათავეში უდგანან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების განაღდებისათვის გაშლილ ბრძოლას, პირადი მაგალითებით აღფრთოვანებენ მეურნეობის მუშებს.

აწყურელი კომუნისტები ხშირად ამა თუ იმ სასარგებლო საქმის ინიციატორებად გამოდიან. კომუნისტ გიორგი ნადირაძის წინადადებით მეურნეობაში დაინერგა ხბოების კვება ხელოვნური რძით, ძირეულად გაუმჯობესდა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, წინუნისა და ზაიკლიის უბნებში მოეწყო ფერმების მექანიზაცია. კომუნისტ ანზორ ღონღაძის წინადადებით და აქტიური შრომით დაინერგა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის პროგრესული მეთოდები, ხოლო ემსჯელათ თავიანთი აგროუბნების შესაძლებლობებზე, გაეშალათ პრაქტიკული ბრძოლა ამ უბნების მშრომელთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების უთუოდ შესრულებისათვის.

აწყურელთა მაგალითით უველა სასოფლო პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ღია პარტიულ კრებაზე განიხილა ხაუბილეო წლის ვალდებულებანი.

დამზადების გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების ძირითადი განმაზღვრელი ფაქტორია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონის შემდგომი ამაღლება. ამიტომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები თავიანთ ძალებს უპირველეს ყოვლისა მიმართავენ იმისაკენ, რომ წელს რაიონში ხაშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 120 ცენტნერი კარტოფილი, 115 ცენტნერი ბოსტნეული, 55 ცენტნერი ბოლი.

პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან ხეოწლედის დამამთავრებელ წელს ჩვენი რაიონის სოფლები, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციათა კოლექტივებიც. მუშა-მოსამსახურეთა ერთიო კრებებზე მათ გულდასმით განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკაცენტრალური კომიტეტის წერილი „სახალხო მეურნეობაში ნაწარმოო რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მოიჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ“ და მის შესასრულებლად პრაქტიკული მუშაობა გაშალეს.

მათ განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება ნაწარმოთა ტექნიკური სრულყოფის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ნაკლები მუშახელით მეტი ნაწარმის გამოშვებისა და ნაწარმოო ხიმძლავრეთა გაზრდის, მანქანა-მოწყობილობის და მუშათა შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების რენტაბელობის საკითხებზე.

ნაკისრი ვალდებულებები პირნათლად რომ შეასრულოთ, საჭიროა უფრო გავაფართოოთ ადამიანთა ინიციატივა და თვითმოქმედება. საამისოდ კი დიდი და სერიოზული ამოცანები აკისრიათ, იდეოლოგიური დარგის მუშაკებს — აგიტატორებს, პოლიტინფორმატორებს, პროპაგანდისტებს, ლექტორებს, ყველას, რომლებიც მოწოდებული არიან პარტიის მართალი სიტყვა მიჰქონდეთ მასებთან, აღაფრთოვანებდნენ და რაზმავდნენ მათ პარტიის მიზანდასახულობათა განსახორციელებლად.

პარტიული პროპაგანდის ყველა რგოლი ამ დღეებში ვადაყვანილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების მასალების ფართო პროპაგანდაზე.

საერთო მოწადინებამ, მთლიანობამ, ერთსულოვნებამ თავისი პირველი შედეგები გამოიღო.

სასიამოვნოა, რომ აწყურის შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობამ და ანის მ. კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ ხუთწლიანი დავალებები ძირითადად დარგების მიხედვით ოთხ წელიწადში შეასრულეს.

— განსაკუთრებით საგულისხმოა, [illegible] ბრძოლა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, კომუნისტება [illegible] ტალანტებიდან წარმოეტ[illegible] ბებში, მაგალითად, შარშან ახალციხის მებოსტნეობა-მეხილეობის და წყალთბილას მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობათა კოლექტივებს ისე რომ ემუშავნათ, როგორც წელს, თავიდან აიცილებდნენ რამდენიმე ათასი მანეთის ზარალს, მარტო წყალთბილას საბჭოთა მეურნეობამ ცუდი მუშაობით სახელმწიფო 350 ათასი მანეთით აზარალა. პარტიის რაიკომის ბიუროს ჩარევით ამ მეურნეობის დირექტორი ე. ხამოლელიანი უკვე რამდენიმე თვეა სამუშაოდან განთავისუფლებულია. ახალმა ხელმძღვანელობამ პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად უნარიანად მოჰკიდა საქმეს ხელი. უკვე თვალნათლივ ჩანს პირველი ხახურელი შედეგები.

რაიონში ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება, პიროუტყვისათვის საკვების დამზადება, მზრალად ხვნა და სხვა სამუშაოები. ქმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ხორბლის დამზადების ვალდებულება უკვე განაღდებულია — მშრომელებმა სახელმწიფოს ამ დღეებში 204 ტონის ნაცვლად უკვე მიაყიდეს 1000 ტონა ხორბალი.

დიდი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა, თვენახევრით ადრე კი ძრძის მიყიდვის მეხუთე კვარტალის დავალება. რაიონის ხაწარმოებმაც მხარი აუბეს სოფლის მშრომელებს და წელს 7 თვეში 6027 ათასი მანეთის ნაცვლად გამოუშვეს 6252 ათასი მანეთის პროდუქცია.

პარტიის ახალციხის რაიკომი კიდევ უფრო ხრულყოფს მუშაობის სტილსა და მეთოდებს, რომ კონკრეტულად, საქმიანად, მაღალ დონეზე უხელმძღვანელოს რაიონის მშრომელთა ბრძოლას ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

შ. გრძელიშვილი,
საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში

ეკონომიური ძლიერების წყაროები

ფართოდ დავნერგოთ შიდასამეურნეო ანგარიში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში

□ □

სამეურნეო ანგარიში სოციალისტურ საწარმოთა გეგმიანი მართვისა და ხელმძღვანელობის ძირითადი შეთოდია. მისი მიზანია მინიმალური დანახარჯებით წარმოებულ იქნას მაქსიმალური, მაღალხარისხოვანი და იაფი პროდუქცია. თვითეული საწარმო რენტაბელური უნდა იყოს და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული ამონაგებით უზრუნველყოს არა მარტო ხარჯების დაფარვა, არამედ მოგების მიღებაც შემდგომში კეთილდღეობისათვის.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თავიდანვე წარმოიდგინენ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დამოუკიდებელ საწარმოო ერთეულებს, რომლებსაც აქვთ თავიანთი ძირითადი და საბრუნავი ფონდები, საწარმოო-საფინანსო გეგმები, დამოუკიდებელი ბალანსები, ანგარიშსწორების ანგარიშები სახელმწიფო ბანკში და როგორც იურიდიული ერთეულები წარმოებასა და რეალიზაციას ახორციელებენ სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე, მაგრამ მათი ცალკეული საწარმოო ერთეულები — უბნები, ბრიგადები, ფერმები, დამხმარე საწარმოები ჯერ კიდევ მთლიანად არ არიან გადასული ამ პროგრესული მეთოდით მუშაობაზე, რაც უკან სწევს მუშაკთა მატერიალურ დაინტერესებას.

ამ სახელოვანი კოლექტივის მაღნევებზე ნათლად მეტყველებს ისიც, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ორჯერ ზედიზედ დაიმსახურა სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროსა და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მშენებლებმა წელს 7 თვეში 868 ათასი მანეთის ნაცვლად 962 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულეს და 51 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება მისცეს სახელმწიფოს.

წარმატებით იბრძვიან სხვა სამშენებლო ორგანიზაციებიც.

მედიგებით უკმაყოფილო როდი ვართ. მაგრამ უფრო დიდი და პასუხსაგები ამოცანების წინაშე

ნების პასუხისმგებლობა საერთო საქმისათვის, გაიზარდა მათი უნარი — დროზე დაძლიონ სირთულენი, ამრავლონ საშშობლოს ხვავი და ბარაქა.

არანელსაყრელი ამინდების მიუხედავად რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შარშან პირნათლად მოიხადეს ვალი სახელმწიფოს წინაშე — სახელმწიფოს მიჰყიდეს გაცილებით მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ვიდრე გეგმით იყო ვალდებულებული. ისინი დიდ ლენინურ იუბილეს პირნათლად, ხელდაშვებულნი შეხვდნენ.

განსაკუთრებით იბეჭითეს აწყურის საბჭოთა მეურნეობის, ვალეს, ანის, ხეოთის კოლმეურნეობებისა და სხვა ხაზოგადოებრივი მეურნეობების მშრომელებმა, რომლებმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები და მნიშვნელოვანი მოგებით დაამთავრეს სამეურნეო წელი.

წარმატებანი მოიპოვეს ჩვენმა სამრეწველო საწარმოებმაც. წლიური დავალებები ვადაზე ადრე გაანაღდეს აკატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს, ქარხანა „ახალციხელექტროძრავი“, საკონსერვო ქარხნის, ხორცკომბინატის, საინკუბატორო სადგურის, ღვინის ჩამომსხმელი ქარხნის, „ახალციხეგაზის“ სამონტაჟო-საექსპლოატაციო კანტორის, თხევადი გაზის ჩამომსხმელი ბაზისა და სხვა კოლექტივებმა, რომლებმაც საერთო პროდუქციის წარმოება წინა წელთან შედარებით 11 პროცენტით გაზარდეს, გეგმის გადამეტებით რეალიზაცია უყვეს 604 ათასი მანეთის სხვადასხვა სახის საქონელს და 185 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

დიდი მუშაობა გასწიეს სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებმაც. მათ შარშან გეგმის გადამეტებით 246 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულეს. განსაკუთრებით ისახელა თავი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის 134-ე მოძრავი მექანიზებული კოლონის კოლექტივმა (უფროსი მ. მინასიანი), რომელმაც ათ თვეში გაანაღდა გასული წლის დავალებები და ახლა წარმატებით იბრძვის, რომ 7 ნოემბრისათვის შეასრულოს მიმდინარე, ხუთწლედის უკანასკნელი წლის მშენებლობის გეგმები.

ასეთი სახით გაანგარიშებული ცალკეული საწარმოო ერთეულების დანახარჯების ლიმიტის ჯამს მიმატებული საერთო საკოლმეურნო ან საბჭოთა მეურნეობის დავალების სახით დაგეგმილი დანახარჯების ლიმიტი მოგვცემს მთლიანად კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის დანახარჯების ლიმიტის ჯამს, როგორც ცალკეული საწარმოო ერთეულების, ისე მთლიანად მეურნეობის მასშტაბით.

როგორც ცალკეული საწარმოო ერთეულების, ისე მეურნეობის მასშტაბით გაანგარიშებული საწარმოო დავალებისა და დანახარჯების ლიმიტის დადგენით, სამეურნეო ანგარიშის მეთოდით დაგეგმვა მთავრდება.

დაგეგმვის დამთავრების შემდეგ იწყება სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი ცალკეული საწარმოო ერთეულების მიხედვით აღრიცხვა და კონტროლი, რაც ამ ხაზით არსებული სისტემის შეცვლას არ ითვალისწინებს და ბრიგადიერების პროდუქციის წარმოების ოდენობისა და მისი წარმოებისათვის საჭირო დანახარჯების ცალკეულ საწარმოო ერთეულების მიხედვით აღრიცხვითა და კონტროლით. ცვლილება მხოლოდ იმაშია, რომ აღრიცხვის ფაქტიური მასალების ჯამი ყოველი თვის ბოლოსათვის უნდა გადაეცეს ეკონომისტს, რომელიც ვალდებულია გამოიყვანოს საწარმოო ერთეულების მიერ გეგმების ყოველთვიური შესრულების მაჩვენებლები როგორც ლიმიტის მიხედვით.

ამისათვის აუცილებელია ეკონომისტმა გახსნას ანალიზური ანგარიში თვითეული საწარმოო ერთეულისა და მათზე მიმაგრებული კულტურების სახეთა შესაბამისად.

ცალკეული თვეებისა და კვარტალების მიხედვით, ასევე წლის ბოლოსათვის საწარმოო დავალების შესრულების მაჩვენებლების შესაბამეზოლად საჭიროა ეკონომისტს გამოიყვანდეს შედეგი ცალკეული კულტურებისა და მეცხოველეობის ფერმების მიხედვით;

დავალებათა შესრულება — საგეგმო და ფაქტიური მდგომარეობით ოდენობასა და თანხაში ასახვით; კოლმეურნეობის გამგეობის ან საბჭოთა მეურნეობის დირექციის მიერ გეგმის დამატებით საწარმოო ერთეულებზე მიცემული დავალების შესრულების მაჩვენებლები რაოდენობისა და თანხის ჩვენებით; საწარმოო ერთეულის მიერ გეგმით გათვალისწინებული დავალების შეუსრულებელი ნაწილის მაჩვენებლები როგორც რაოდენობის, ისე თანხის ჩვენებით; საბოლოო შედეგი სამეურნეო წლის საწარმოო ერთეულის მიერ დავალების შესრულებაზე როგორც რაოდენობის, ისე მისი ღირებულების ჩვენებით, იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რასაც ადგილი ჰქონდა სამეურნეო წლის განმავლობაში საწარმოო ერთეულში დამატებით მიღებული დავალების შესრულების, ან გეგმით გათვალისწინებული დავალების შეუსრულებლობის გამო.

ამ შედეგის მიხედვით გაუსწორდება ანგარიში სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ თვითეულ საწარმოო ერთეულს, რაც ითვალისწინებს დანახარჯების ლიმიტის ეკონომიით ან გადახარჯვით მიღებული თანხის გაგრცელებას საწარმოო ერთეულის მუშაკთა საბოლოოდ დაზუსტებული მაჩვენებლის მიხედვით კუთვნილი შრომის ანაზღაურების ოდენობაზე.

დანახარჯების ლიმიტში გამოყოლილებული როგორც ეკონომიის, ისე გადახარჯვის თანხა ვრცელდება საბოლოოდ დაზუსტებული გეგმის შესრულების მაჩვენებლის მიხედვით საწარმოო ერთეულის მუშაკების შრომის ანაზღაურების ოდენობაზე, რომელიც პირველ შემთხვევაში ემატება მუშაკის მიერ გამომუშავებულ ყოველ მანეთს, ხოლო მეორე შემთხვევაში, პირიქით, აკლდება მას.

მაგალითად, თუ № 1 საწარმოო ერთეულს წლის ბოლოსათვის დაზუსტებული მაჩვენებლის მიხედვით, შრომის ანაზღაურების სახით დარიცხული ჰქონდა კუთვნილი 100 ათასი მანეთი, ხოლო საწარმოო დავალების გადაჭარბებით დანახარჯებში ეკონომიამ 25 ათასი მანეთი შეადგინა, მაშინ ამ საწარმოო ერთეულის მუშაკებს ფაქტიურად დარიცხულ ყოველ მანეთზე დამატებათ 25 კაპიკი, ანუ ეკონომიის სახით მიღებული მთლიანი თანხა. თუ ამ ოდენობის გადახარჯვასთან გვაქვნებოდა საქმე, მაშინ ფაქტიურად დარიცხული ყოველი მანეთი № 1 საწარმოო ერთეულის მუშაკებს 25 კაპიკით შეუმცირდებოდა.

მეცხოველეობის ფერმებსაც ზარალთ ან დაუმთავრებიათ მუშაობა. პირიქით, ფერმების მუშაკებმა ეკონომიის შედეგად თავიანთი ანაზღაურება № 1 ბრიგადაში ყოველ გამომუშავებულ მანეთზე 8 კაპიკით, ხოლო № 2 ბრიგადაში 2 კაპიკით და მეღორეობის ფერმაში 49 კაპიკით გაზარდეს.

ამჟამინდელ სამეურნეო წლის ზარალით დამთავრება წარმოქმნა არა საწარმოო ერთეულების მიერ დავალებათა შეუსრულებლობამ, არამედ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის (ეუდმა მუშაობამ. დიდი რაოდენობით პირუტყვის სულადობის არასწორმა ჩამოწერებმა ზარალი გამოიწვია. ყველაფერი ეს სამეურნეო ანგარიშის მოთხოვნებმა გამოაამჟავნა.

წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობა 1970 წლის გადავიდა შიდასამეურნეო ანგარიშის პრინციპით მუშაობაზე. ამ კოლმეურნეობის სამეურნეო წარმატებანი წლების მანძილზე საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია.

როგორც ნახევარწლიური შედეგები გვიჩვენებენ, ამ გიგანტი კოლმეურნეობის მერძევეობის ფერმაში, სადაც 11 ბრიგადაა, 1970 წლის 1 ივლისისათვის, მიუხედავად არასასურველი ბუნებრივი პირობებისა, საუკეთესო შედეგებია მიღებული: № 1 ბრიგადაში ყოველ 100 მანეთის პროდუქციის შექმნისათვის გეგმით გათვალისწინებული 73,22 მანეთი დანახარჯის ნაცვლად 67,1 მანეთია დახარჯული, ანუ ნახევარწლიურ დანახარჯებში მომგებიანობით მიღებული ეკონომია დაახლოებით 2.197 მანეთს შეადგენს. სულ მერძევეობის ფერმაში 49.373 მანეთი ეკონომია მიიღეს.

კოლმეურნეობების ცალკეულ საწარმოო ერთეულებში კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ამ პროგრესული ფორმების დანერგვა ერთ-ერთი საუკეთესო ღონისძიებაა სამეურნეო, ეკონომიური და ფინანსური განმტკიცებისათვის. ამიტომ სამეურნეო ანგარიში ფართოდ უნდა დაინერგოთ.

გ. საგანელიძე,
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი;

თ. თავიდაშვილი,
უფროსი ინჟინერ-ეკონომისტი.

ფერილები რედაქციას

ჩვენი ახალი ფოსტიდან

● ტყვარჩელი. „საქმიანტმონტაჟის“ ტყვარჩელის უბნის კოლექტივი დიდ დახმარებას უწევს ოჩამჩირის რაიონის მშრომელებს. ტყვარჩელელი მემონტაჟეები ოჩამჩირეში აშენებენ წყალსადენს, რომლის სიგრძე ცხრა კილომეტრზე მეტია.

ტყვარჩელელ მემონტაჟეებს აგრეთვე სოფელ ტამიშში გამოყავთ 15 კილომეტრიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ელექტროხაზი.

ა. ჭითანავა.

● მარნეული. დიდი ცვლილებები მოხდა ამ ბოლო ხანებში ქალაქ მარნეულში. რაიონის მისასვლელთან გაკეთდა საკმაოდ დიდი ბიდი, გაფართოვდა ქეჩა, ხოლო ბოლნისისა და თეთრი წყაროს გზის გასაყოლთან, სადაც წინათ უსწორ-მასწორო ადგილები იყო, გაშენდა ცენტრალური მოედანი.

ქალაქის ცენტრალურ ადგილას გაშენეს შესანიშნავი სკვერი.

ზ. ბეშკენაძე.

● ხობი. შარშან მ. ჭაჭია საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს, სადაც მან თავი გამოიჩინა როგორც მოწინავე დისციპლინიანმა და ფხიზელმა ჯარისკაცმა.

სამხედრო ნაწილიდან მეურთაზის შობლებს მარუსია და კოლია ჭაჭიებს სწერეს: ნაწილის ხელმძღვანელობა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები მაღლობას გიხდიან სახალხო შვილის აღზრდისათვის.

დ. დოლბაია.

● ბურნეთი. „ხალხური ოლეტა“ ბურნეთის ოლეტა. ოლეტ-ლი. ოლეტ-ლ. ოლეტ-ლ. ოლეტ-ლ

მსოფლიო დღეს

მიზანი: სოციალიზმის მთლიანად აშენება

ბუდაპეშტი, 24 აგვისტო. (საკ-დისი). უნგრეთის გაზეთებში გამოქვეყნდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისები პარტიის X ყრილობისათვის. განვლილი ოთხი წლის მანძილზე, ნათქვამია თეზისებში, IX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტია მიზნად ისახავდა სოციალიზმის მთლიანად აშენებას. თავის მუშაობაში იგი ხელმძღვანელობდა მუშათა კლასის საქმისადმი, სოციალიზმის შენებისა და უნგრელი ხალხის საქმისადმი სამსახურით.

ახორციელებდა რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტია წარმატებით უსამებდა უნგრეთის პირობებს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას, გაზიარებულია თეზისებში. განვლილი წლების მანძილზე განმტკიცდა სახალხო ხელისუფლება, დიდი წარმატებანია მოპოვებული ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. ეროვნული შემოსავალი მეხუთე ხუთწლედში გაიზრდება დაგეგმილთან შედარებით 39-40 პროცენტით. საკრედიტო წარმოება ხუთი წლის მანძილზე გაიზარდა 34 პროცენტით, ხასოფლო-სამეურნეო წარმოება — 16-17 პროცენტით. დოკუმენტში აღნიშნულია ის დიდი მნიშვნელობა, რაც უნგრეთის ხალხმა რესპუბლიკის ეკონომიური განვითარებისათვის ჭრონდა საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან, სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის განვითარებას.

ყრილობამ, რომელსაც ეწვევიან უნგრეთის განთავისუფლების 25 წლისთავის ღა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის წელს, შეუძლია აღნიშნოს. ნათქვამია დოკუმენტში, რომ უნგრეთის მუშათა კლასი ასრულებს თავის ისტორიულ მისიას. პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასი გლეხობასთან, ინტელიგენციასთან და საზოგადოების სხვა მშრომელ ფენებთან ერთად წარმატებით აშენებს სოციალიზმს.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპია მშვიდრო თანამშრომლობა სახმოთა კავშირთან და მხოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნებთან. ხაზგასმულია თეზისებში. უნგრეთ-საბჭოთა კავშირის შეგობრობა განწელილ პერიოდში კვლავ მტკიცდებოდა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა და განვითარდა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის სხვა ხალხმწიფოებთან.

ვარშავის ხელშეკრულება, ხაზგასმულია დოკუმენტში, სოციალიზმისა და მშვიდობის დაცვის საიმედო საშუალებაა. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზნად პარტიას კვლავაც მიაჩნია ის, რომ ყველა მოკავშირესთან. მსოფლიოს პროგრესულ ძალებთან მჭიდრო შეკავშირებით უზრუნველყოფს სოციალისტური შიმოქმედებითი შრომის ხელსაყრელი საერთაშორისო პირობები, უზრუნველყოს მშვიდობა.

განყოფილებაში პარტიის შესახებ აღნიშნულია, რომ IX ყრილობის დროიდან გაძლიერდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელი როლი უნგრეთის საზოგადოებაში. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია თავის საერთაშორისო ხასიათს ეწეოდა მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

ფიდელ კასტროს კუბა გამოსვლა

ჰავანა, 24 აგვისტო. (საკ-დისი). ჩვენ კვლავაც განუხარელად განვამტკიცებთ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, რომელმაც ამ წლების მანძილზე დიდი დახმარება გაგვიწია, განაცხადა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ გუშინ ჰავანაში გამართულ საზეიმო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა კუბელ ქალთა ფედერაციის შექმნის 10 წლისთავს. ამას წინათ, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ზეიმის დღეებში, თქვა ფ. კასტრომ, უკვე აღინიშნეთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის დახმარებას კუბის რევოლუციის მტრებს ბრაკების აღკვეთის საქმეში. ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში ახლა აგრესიის საფრთხე, რასაც განუწყვეტელ ქმნიან ამერიკის იმპერიალისტები და მისი ლაქიები, გვიძლევს ყოველნაირად განმტკიცოთ ჩვენი თავდაცვისუნარიანობა.

პრემიერ მინისტრმა აღნიშნა ის დიდი მუშაობა, რომელიც 10 წლის მანძილზე გასწია კუბელ ქალთა ფედერაციამ, მისი აქტიური მონაწილეობა სოციალისტური მშენებლობის დიდმნიშვნელოვან ამოცანათა გადაწყვეტაში. მარტო 1969 წელს, აღნიშნა ფიდელ კასტრომ, 113 ათასი კუბელი ქალი მოვიდა სამუშაოდ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და მომსახურების სფეროში.

ფ. კასტრომ შემდეგ თქვა, რომ საჭირო კიდევ უფრო განვითარონ შაქრის მრეწველობა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის საფუძველია. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ახლა წარმოებს დიდი მუშაობა მთელ ეკონომიკაში, და უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დანერგვისათვის.

თავის გამოსვლაში ფ. კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე, რომ საჭიროა დღენიადაგ ამაღლებდნენ ხელმძღვანელი პარტიული და აღმინისტრაციული კადრების იდეოლოგიურ დონეს, ოამჯობესებდნენ შრომის ორგანიზაციას, ზრდიდნენ პროფკავშირთა როლს, ათართოებდნენ მშრომელთა მონაწილეობის წარმოების კოლექტიურ მართვაში.

ფიდელ კასტროს

გამოსვლა

ეროვნული მასშტაბის სკანდალი

ფოტოსურათი „ენი გაზეთში“

ფოტოლაბორატორია

... ადის-აბების ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა — კაილ სელასიმ I პრესპეკტი.

... ხაზდენის ფოტოქრონიკა.

... სოფლის ჰასთან ქვეყნის დასავლეთ რაიონში.

... ხაზდენის ფოტოქრონიკა.

... ბერლინი

... ბერლინი

... ეროვნული

... ეროვნული

... ეროვნული

საქართველოს ხმა-ბაკურ

რუმინელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად

26 წლის წინათ რუმინელი ხალხი განთავისუფლდა ფაშისტური მონობისაგან. მას შემდეგ რუმინეთში დაიწყო ახალი ეპოქა — სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ეპოქა. საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების დახმარებით რუმინელმა ხალხმა უმაგალითო წარმატებანი მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

24 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობაში, რომელიც საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საქართველოს განყოფილების კოლექტიური წევრია, გაიმართა რუმინელი ხალხის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი კრება.

კრება გახსნა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორმა გ. ხუციშვილმა. მოხსენება გაკეთა საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ, თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტმა ლ. ხუმბაძემ.

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გამგეობას. (საქდესი).

გმადლობთ! — ამგზავნ დამსვენებლები

„მშვენიერია თქვენი მალთაყვა"... ამ სიტყვებით ტოვებენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ტურისტები ფოთის ტურისტულ ბაზას, რომელიც მალთაყვის მწვანით მოსილ მიდამოშია.

ტურისტულ ბაზაში ექვსი მარშრუტით ჩამოდიან სტუმრები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, როსტოვიდან, შორეული ციმბირის, ბალტიისპირეთისა და შუა აზიის რესპუბლიკიდან.

ერთდროულად ტურბაზაში 600 ტურისტი ისვენებს. მათ განსაკუთრებით ხიბლავთ პლაჟი, რომელიც ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს განკარგულებაშია. აქ დადგმულია კოხტა ორსაწოლიანი კოტეჯები, საჩრდილობლები, ფერადზოლებიანი კარვები პირადი ავტომანქანების დასაყენებლად.

შთაბეჭდილებათა წიგნი ივსება ტურისტთა ახალი ჩანაწერებით. აი ზოგიერთი მათგანი: „ჩემი აზრით, მალთაყვა პირველხარისხოვანი კურორტია. აქ უსაზღვროა ულტრაიისფერი სხივები. მზე, პაერი და ზღვა ბედნიერად შერწყმულია ერთმანეთთან და გამაჯანსაღებლად მოქმედებენ ადამიანზე"... „აღტაცებული ვარ პალიასტომის ტბით".

კ. კომახიძე.

ბათუმის ქარხანა „ელექტროხელსაწყოში" ამზადებენ ლაბორატორიულ ავტოტრანსფორმატორებს, რომლებზეც ძალიან დიდი მოთხოვნილებაა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. აქაური ავტოტრანსფორმატორები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იგზავნება.

• • •

 სურათზე: საამყოფოთ საამქროს ოსტატი კ. ჩხობაძე და კომკავშირელი ამწყობი მ. ცინარიძე ამოწმებენ ხაექსპორტოდ გამზადებულ ლაბორატორიულ ავტოტრანსფორმატორებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ვისაც საქართველოში უმოგზაურია, დამტკბარა მისი ზღაპრული ხილამაზით, არასოდეს დაავიწყდება კურორტი შოვი. ტანწერწეტა ნაძვებითა და ფიჭვებით, გოროზად აღმართული წიფლებითა და მუხებით დაფარული მთები ამაყად გადმოსყურებენ ხეობაში მიმოფანტულ სახლებსა და სანატორიუმებს. საქვეყნოდ განთქმულია აქაური მინერალური და სახმელი წყლები, ჰავა, რომლებიც ყოველგვარ პირობებს ქმნიან ადამიანის დასვენებისათვის.

სურათზე: შოვის საკურორტო დარბაზის ხედი.

ფოტო ხ. კილაძისა.

სპორტი

სხვა გაზეთიდან

წარუმატებლობა და რწმენა

საუბარი სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელთან

გ. დ. კაჩალინთან

— გაბრიელ დმიტრის-ძევ, რომელ წელს გახდება ჩვენი ფეხბურთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი?

— მექსიკაში, დარწმუნებული ვარ, ჩვენი გუნდი მზად იყო. მიმაჩნია, როგორც მის უფროს მწვრთნელს, რომ შემადგენლობის განსაზღვრაშიც შეცდომა არ ჩამიდენია: ავიღეთ ყოველივე, რაც კი ყველაზე უკეთესი იყო ჩვენში. ვარაუდი ახალგაზრდობაზე რომ დავამყარე, — არ ვიცი რამდენად შეიძლება ეს შეცდომად ჩაითვალოს, — ვფიქრობდი, რომ სწორედ იგი ყველაზე ადვილად აიტანს მაღალი მთის სიძნელეებს. მაგრამ... ცდა ყოველთვის ცდად რჩება ყოველ პირობაში. ეს ზოგიერთი საინტერესო მონაცემები, რომლებიც ჯერ არსად არ გამოქვეყნებულა.

კაჩალინი ოთახიდან გავიდა, მაშინვე დაბრუნდა ბლოკნოტით ხელში, გადაფურცლა იგი და განაგრძო:

— იტალიის ნაკრებში 19-დან 23 წლამდე ასაკის არც ერთი კაცი არ ყოფილა, ასევე — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებშიც, ურუგვაიში იყო ორი, ჩვენს ნაკრებში — ოთხი. მთლიანად ჩვენ ნახევარფინალისტებზე უფრო ახალგაზრდა ვიყავით 1,5-დან 3,5-მდე წლით. ეს შეცდომაა, ახალგაზრდობაზე იმედის დამყარება?.. წარუმატებლობის მეორე მიზეზი ის იყო, — მან ბლოკნოტი განზე გადადო და ოთახში ბოლთის ცემას შეუდგა: — ჩვენ არ გვყავდა ექსტრა კლასის მოთამაშეები, აშკარა ლიდერები. გარდა შესტერნიოვისა, რომელმაც ჩინებულად ითამაშა. მაგრამ ყველაზე საგალობელი ის არის, რომ ჩვენს ფეხბურთში ასეთი მოთამაშენი ახლა საერთოდ არ არიან. მაშ ვისზე ვამყარებდით იმედს? ნახევარდაცვაში მონტიანზე ან ასათიანზე, მაგრამ ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ ზიდა ლიდერობის ტვირთი. ბიშოვიც თავისი უნარის მიხედვით შეიძლებოდა ასეთი ლიდერი ყოფილიყო. მაგრამ თავისი თამაშით საერთო აღიარება ვერ ჰპოვა. მინდა ყველას გასაგონად ვთქვა ერთ ერთ ეი რა. დასვენების შემდეგ ბიჭები ნაკრებში ისე მოვიდნენ, რომ შენარჩუნებული ჰქონდათ ვარჯიშის გარკვეული დონე. და ყველა მაჩვენებელი გვიარწმუნებდა, რომ ეს დონე იზრდებოდა. და ჩვენ მივდიოდით სწორი გზით — დატვირთვათა ზრდის გზით. შემდეგ, როცა სიმაღლეზე ავედით, საჭირო იყო, კიდევ ერთი აღვილაღლინა ფიზიკური დატვირთვა, ამას კი ვერ გავაკეთებდით, ვინაიდან იმ პირობებში ეს კატასტროფას გვიქადდა.

და მაინც ყოველივეს მიუხედავად, მე საბჭოთა ფეხბურთს ოპტიმისტურად ვაფასებ. ჩვენ ვიქნებით ჩემპიონები (მართალია, რომელ წელს, ეს — არ ვიცი). მაგრამ ამისათვის საჭიროა გადავჭრათ მთლიანად ჩვენი ფეხბურთის წინაშე მდგომი მთელი რიგი პრობლემები. და, რაც მთავარია, მოდით ნუ დავიგიწყებთ, რომ ჩვენ ერთადერთი ვართ სპორტის ყველა სახეობიდან, პროფესიონალებს რომ ვუწევთ მეტოქეობას... ნვალად იყენებდნენ თავიანთი მოთამაშეების ინდივიდუალურ თვისებებს და ამავე დროს გვიჩვენეს გასაოცრად კოლექტიური თამაში. და, რაც მთავარია, მათ ჰქონდათ შესანიშნავი განწყობილება იერიშისათვის. მე საერთოდ მგონია, რომ ბრაზილიელები ჩემპიონები გახდებოდნენ, ვინც უნდა ყოფილიყო მათი მწვრთნელი, — სალდანია, ზაგალო თუ ბოლოს და ბოლოს ვინმე სხვა.

— გაბრიელ დმიტრის-ძევ, როგორ ფიქრობთ, რომელ პროფესიას უფრო აქვს მიდრეკილება ფეხბურთის მწვრთნელის პროფესიისადმი? როგორ აფასებთ ამ ფაქტს, რომ სალდანია პროფესიით ეურნალისტია და ასოციაციის ფეხბურთი არ უთამაშია?

— ფეხბურთში კარგი მწვრთნელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვისაც საკმაოდ უშიანალო დამოკიდებულება აქვს ფეხბურთთან. და, შეიძლება ითქვას, ეს ყველგან ასეა. ბრაზილიის გარდა. თქვენ ახლა დაასახელეთ სალდანია, მე კი დაგიასახელებთ ლულუს, რომელიც 13 წელიწადს წვრთნიდა „სანტოსს". პროფესიით იგი მათემატიკის მასწავლებელია.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ბრაზილიაში მწვრთნელს სულ სხვა ამოცანები აქვს, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მათთან ხომ საკუთრივ მზა მოთამაშენი მიდიან. მათთვის მთავარია დაკომპლექტონ შემადგენლობა და დამყარონ დისციპლინა. ამ შემთხვევაში კი ყველა პროფესია კარგია.

— თქვენი დამოკიდებულება გულშემატკივრებისადმი?

— უაღრესად დადებითი, ისინი სტამფულს ძალევენ ფეხბურთელთა თამაშს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩვენი საბჭოთა გულშემატკივრები.

— რაკი ლაპარაკი ჩამოვარდა გულშემატკივრებზე, რამდენიმე სიტყვა გვითხარით მათზე. კიევის „დინამოს" მოყვარულებს ვერანაგზით ვერ გაუგიათ, მაინც რა დაემართა მათს გუნდს.

— ჩემი აზრით, კიეველები თაობათა შეცვლის მსხვერპლი გახდნენ. ეს უკვე ირნენდა თავს გასულ სეზონში. აცალეთ გუნდს ფეხზე დადგეს, და იგი ისეთივე კარგი იქნება, როგორიც იყო. კარგი იქნება, იმიტომ რომ ახლა გუნდში თავდასხმას მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე წინათ. კიეველები ლუდიერებლად კიდევ ალაპარაკდებიან. უფრო მეტიც, ვფიქრობ, რომ ამ სეზონშიც არ შეიძლება, ისინი ანგარიშში არ მივიღოთ...

— ვინ იქნება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი?

— ამაზე პასუხის გაცემა მხოლოდ გრძნეულს შეუძლია... მოსკოვის „დინამო" ახლა ცუდად არ გამოიყურება. „სპარტაკიც" კარგად თამაშობს. იქ ჩინებული ბიჭები არიან, მაგრამ რამდენ ხანს ეყოფათ ძალა?

— ყველაზე მეტად რას აფასებთ ფეხბურთელში?

— უწინარეს ყოვლისა მორალურ, ნებისყოფის თვისებებს. კოლექტივი მარტო ნებისყოფიანი ადამიანებისაგან რომ შეგქმნათ, იგი ბრწყინვალე იქნება. და ასეთი კოლექტივები ჩვენშია ყო და იქნება.

— როდის უფრო ადვილი იყო ნაკრების წვრთნა: წინათ თუ ახლა? დაგვისახელეთ, გთხოვთ, ყველა დროის სიმბოლური ნაკრები იმ მოთამაშეთაგან, რომლებთანაც გიმუშავნიათ.

— ნაკრებთან მუშაობა წინათ უფრო ადვილი იყო. ჩვენ გვყავდა ეგრეთწოდებული „საბჭო" გუნდები. ნაკრები ზოგჯერ შედგებოდა, მაგალითად, თითქმის მარტო „სპარტაკისაგან". ახლა ასეთი გუნდები არ არის. დაკომპლექტება წარმოებს „ვარსკვლავური" პრინციპით. ეს კი სულ სხვა საქმეა: თვითეული გუნდი სხვადასხვა სისტემით თამაშობს, და თამაშის წარმოების მეთოდებიც სხვადასხვაა. უნდა გვახსოვდეს, კიდევ ეროვნული თვისებებიც: ქართველები ქართველები არიან, უკრაინელები — უკრაინელები. სიმბოლური ნაკრების დასახელება არ შეიძლება. ეს მეტად დელიკატური საქმეა. ხოლო გამოჩენილი ფეხბურთელების ჩამოთვლას ალბათ შეეძლება. პირველ რიგში ეს არის იაშინი, ყველა დროისა და ხალხის მეკარე, ეპოქა მსოფლიო ფეხბურთში. შემდეგ სიმონიანი, ნეტო, ვალენტინ ივანოვი, ვორონინი, სტარლიცოვი და, უეჭველად, შესტერნიოვი. მათ ყველამ ჩაბარეს გამოცდა დროით. თავის დროზე დაგასახელებდი კიდევ მეტრეგელს, პონედელნიკსა და მესხს. აქვე უნდა ვთქვა, მესხი საერთოდ განუმეორებელია.

— თქვენ თქვით, დროით გამოცდილო? მაშ რა ხდობს — ძალღონით ალსავსე წავიდეს თუ ბოლომდე ითამაშოს?

— დაემარცხებლად, ლამაზად რომ წახვიდე, ეს ვაჟკაცობაა. ასე წავიდა სიმონიანი, ასე წავიდა ჰოკეიში ბორის მაიოროვი. ხოლო იმ კითხვაზე, თუ რა ასაკამდე შეიძლება თამაში, ძალიან კარგად გასცა პასუხი ერთმა ცრობილმა ბალეტმაისტერმა (რა თქმა უნდა, იგი ცეკვაზე ლაპარაკობდა): „ცეკვა შეიძლება სამოცდაათ წლამდეც — საკითხავი მხოლოდ ის არის, ვინ უყურებს ამ შემოხვევაში სცენას და რას იტყვიან"...

— გაბრიელ დმიტრის-ძევ, რომელია ყველაზე გულსატკენი წარმატებლობა თქვენს როგორც მწვრთნელის კარიერაში?

— დამარცხება ინგლისის ნაკრებისაგან 1958 წელს 0:5 ანგარიშით. მით უფრო საწყენია, რომ ეს მოხდა თამაშის დამთავრებამდე სულ ხუთი წუთით ადრე. მაგრამ ფეხბურთი თეატრია. სწორედ ამით არის იგი მშვენიერი.

— ეს სპორტის თქვენი საყვარელი სახეობაა?

— რა თქმა უნდა. კიდევ ციკურაობა, ჰოკეი, ჭადრაკი, მხატვრული ტანვარჯიში.

— უკანასკნელი კითხვა. ნაკრებთან თქვენ პირველად როდი წასულხართ საზღვარგარეთ. მერე?..

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. ეს ჩემთვის მსოფლიოს მესამე ჩემპიონატი და მესამე წარმატებლობაა. მაგრამ ვინც უნდა იქნეს ნაკრების მწვრთნელი, მე მწამს, რომ სსრკ-ის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი იქნება.

ე. ფადეევი.

ჩვენი სპეც კორ.

(გაზ. „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია").

რევანშიც ამას ჰქვია

გუშინდელ მატჩს ქუთაისში ადგილობრივ ტორპედოელთათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მახპინძელთა ხატურნირო მდგომარეობის ნაწილობრივ გამოსახწორებლად საჭირო იყო მხოლოდ გამარჯვება, რევანში იმ დამარცხებისათვის (1:3), რომელიც ქუთაისელებმა დინეცკში განიცადეს პირველ წრეში. ტორპედოელთა სახახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ჩინებულად გაართვეს თავი ამ პასუხსაგებ მატჩს, გამარჯვება 4:1 თავისთავად მეტყველებს სრულფასოვან რევანშზე.

ანგარიში მე-20 წუთზე ხერხაძემ გახსნა, შემდეგ კი ტაიმის მიწურულში ვეკუამ მეორეჯერ აიღო „შახტიორის" კარი. მეორე ნახევარში ბრძოლა გაძნელდა. შესანიშნავად თამაშობდა მეკარე გოგია. 76-ე წუთზე ალადაშვილმა ანგარიში 3:0 გახადა. მართალია, 85-ე წუთზე სტუმრებმა ერთი საპასუხო ბურთი გაიტანეს „ტორპედოს" კარში, მაგრამ მალე ხერხაძემ კიდევ ერთხელ გაახვია ბურთი მეტოქის ბადეში — 4:1.

„ტორპედოს" შემადგენლობაში იყვნენ — გოგია, ჩხაიძე (აწფიმიადი), წვერავა, ჭოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი, ვეკუა (ალადაშვილი), ჭითაური, ხერხაძე, ქიქავა.

დუბლიორთა მატჩშიც წარმატება ქუთაისელებს ხვდათ 2:1.

მატჩები და შედეგები

გუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში „ა" კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის.

მოსკოვში ერთმანეთს შეეჯიბრნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და დიდაქალაქის „ტორპედოს" გუნდები. მატჩის შედეგია 3:1 (სსკა-ს სასარგებლოდ.

დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი მასპინძლობდა ლენინგრადის „ზენიტს". წარმატება არმიელ ფეხბურთელებს ხვდათ 3:0.

ბაშკირეთში ადგილობრივ „პახტაკორს" ბაიერობა ჰქონდა ვოროშილოვგრადის „ზარიასთან". მიტოჩქინებმა თითო ბურთი გაიტანეს — ფრე.

მატჩი ერევანში კიევის „დინამოსა" და ერევნის „არარატის" გუნდებს შორის დამთავრდა ერევნელთა გამარჯვებით 2:0.

მინსკის დინამოელები ორჯონიკიძეს ეწვევნენ და აქ მატჩი გამართეს ადგილობრივ „სპარტაკთან". წარმატება სპარტაკელებს ხვდათ 1:0.

გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 26 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (მ.)	21	10	8	3	35-16	28
„დინამო" (მ.)	20	11	5	4	28-12	27
სსკა	20	11	3	6	30-14	25
„დინამო" (თბ.)	19	10	5	4	28-14	25
სკა (როსტ.)	21	6	12	3	19-13	24
„დინამო" (კ.)	21	10	4	7	21-17	24
„ტორპედო" (მ.)	20	8	7	5	22-20	23
„ზარია" (ვ.)	21	7	9	5	17-18	23
„არარატი" (ერ.)	21	9	4	8	21-21	22
„ნეფტჩი" (ბ.)	20	6	8	6	18-14	20
„დინამო" (მნ.)	21	6	7	8	23-21	19
„პახტაკორი" (ტ.)	21	5	8	8	14-30	18
„ტორპედო" (ქ.)	21	4	8	9	16-21	16
„შახტიორი" (დ.)	20	5	5	10	18-38	15
„სპარტაკი" (ორჯ.)	21	4	5	12	19-31	13
„ჩერნომორ." (ო.)	18	3	6	9	10-21	12
„ზენიტი" (ლ.)	20	4	4	12	16-34	12

რამდენიმე სტრიქონით

● **გაიმართა „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში. თბილისის ლოკომოტიველებმა მოსკოვში დაამარცხეს დედაქალაქის თანაკლუბელები 1:0.**

● **ეს ქვეყნის** ოლიმპიურმა კომიტეტმა სურვილი განაცხადა მოწაწილეობა მიიღოს 1972 წლის ზამთრის ოლიმპიურ ასპარეზობაში, რომელიც საპოროში გაიმართება. შეჯიბრება 3 თებერვალს დაიწყება.

● **წარმატებითი** სტარტი აიღეს სსრ კავშირის „ბურევესტნიკის" ფეხბურთელებმა სან-რემოში ახალგაზრდული გუნდების საერთაშორისო ტურნირზე. პირველ მატჩში მათ დამარცხეს იტალიელთა გუნდი „კარლინს ბოიზი" 5:0.

● **პოლიანიცა-ზდროუი.** **პოლონეთის ამ ქალაქში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში ვაჟთათვის. გათამაშდა 12 ტური. ლიდერია ჩეხოსლოვაკიელი მოჭადრაკე იან სმეიკალი, რომელსაც 9,5 ქულა აქვს. მოსკოველ ოსტატს ი. ზაიცევს, რომელიც მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფს, — 8 ქულა აქვს.**

● **ბოსტონი.** **დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატი ჭადრაკში ვაჟთათვის. წარმატება ხვდა დანიელ გროსმაისტერ ბენტ ლარსენს, რომელმაც 10,5 ქულა შეაგროვა 12-დან. მომდევნო ორი ადგილი თანაბრადვერეულად დაიკავეს პალ ბენკომ — 10 ქულა და რობერტ ბირნმა — 9,5 ქულა (ორივე ამერიკის შეერთებული შტატებიდან).**

პროფესორ ნიკოლოზ კანდელაკის დამკრძალავი კომისიისადმი

პროფესორ ნიკოლოზ კანდელაკის სამოქალაქო პანაშვიდი შედგება 27-28 აგვისტოს საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაზე (მცხეთის ქ. № 14).

29 აგვისტოს ნ. ბ. კანდელაკის ნეშტს დაასვენებენ თბილისის სამხატვრო აკადემიაში. (გრიბოედოვის ქ. № 22), სადაც დღის 4 საათზე შედგება სამოქალაქო პანაშვიდი.

გამოსვენება დღის 5 საათზე აკადემიის შენობიდან.

რა

27 აგვისტო

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — გ. კილაძე. საბალეტო სიუტა „სინათლე", 08.30 — მუსუბენი მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 11.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.10 — საუბარი „ყაზახი ხალხის დიდი დღესასწაული", 12.25 — კონცერტი ყაზახი კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — მუსიკა საბჭოთა კინოფილმებიდან, 15.00 — „ფიქრები მიწაზე". ყაზახეთის რადიოს გადმოცემა (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ა. დარგომიჟსკი. რომანსები და სიმღერები, 17.35 — მოსწავლეთათვის. ა. გრიმბლის მოთხრობა „რვაფეხას ჭანგებში", 18.10 — ქართული მუსუბენი მუსიკის კონცერტი, 18.45 — მენდელსონი. საფორტეპიანო პიესები „უსიტყვო სიმღერები", 19.20 — სოლოვიოვ-ს

დოი. სიმღერები, 19.45 — ქართული ხალხური მუსიკა, 20.30 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!"— მუსტიის რაიონი, 21.07 — კონცერტი მუსტიის თვითმოქმედი ანსამბლის შესრულებით, 21.30 — რ. ინანიშვილი, ორი მოთხრობა. 22.00 — ხ. ცინცაძე. მესამე სიმფონია, 22.50 — მღერის გ. ჩოხელი, 23.30 — პოპულარული ხაპერო მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

26, აგვისტო

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი „ჰორიზონტი", 12.15 — მხატვრული ფილმი — „1941 წლის ვაშლები", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — გადაცემა ბავშვებისათვის — ნოვოსიბირსკელი მუშაკტერები", 18.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მუსიკალური პროგრამა, 19.25 — გადაცემა — „წარმოების კულტურისათვის", 19.45 — დოკუმენტური ფილმი — „მკვლელობის საფასური გადახდილია" (ქართულ ენაზე), 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — „ახალგაზრდული პანორამა", 22.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „ფიროსმანი".

რედაქტორი

დ. მეჯლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, ხატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04388

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.

სანიმუშო სისუფთავე რკინიგზაზე

ხალხის ჯანმრთელობისათვის

ზაფხულის პერიოდისათვის შემუშავებულია სპეციალური ღონისძიებანი მატარებლების მუშაკებში, სალოკომოტივო ბრიგადებსა და გამცილებელთა რეზერვებში დაავადების თავიდან აცილებისათვის. დიდ სადგურებში — თბილისში, ერევანში, სოხუმში, ბათუმში, სამტრედიაში, ლენინაკანში მათთვის შექმნილია ასაცილო პუნქტები და სპეციალური კვების პუნქტები.

გაძლიერებულია სანიტარული კონტროლი სამგზავრო მატარებლების გამოწყობისადმი.

ცნობილია, რომ ნაწლავების მწვავე დაავადებათა გამომწვევი მიკრობები დიდხანს ძლებენ წყალში, მაგრამ იღუპებიან აღუღების დროს. ამიტომ სამგზავრო მატარებლების გამცილებლებს ევალებათ აადუღონ სასმელი წყალი. მგზავრები მატარებელში ყოფნის დროს უზრუნველყოფილი არიან აღუღებული წყლით. გარდა ამისა ორგანიზებულია რკინიგზის ყველა წყალნაგებობის კომპლექსური გამოკვლევა, რომელთა სამსახურები მთლიანად უზრუნველყოფილი არიან ქლორიანი კირითა და სხვა სადეზინფექციო საშუალებებით.

იმასთან დაკავშირებით, რომ ზაფხულობით საკვანძო სადგურებში დიდძალი მგზავრი იყრის თავს, აქ გახსნილია დამატებითი სანიტარულ-საკონტროლო და სამედიცინო პუნქტები, სადაც დღედაღამ მორიგეობენ ექიმები და საშუალო სამედიცინო პერსონალის წარმომადგენლები. ისინი თვალყურს ადევნებენ ვაგზლების, სამგზავრო მატარებლების სანიტარულ მდგომარეობას, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ დონისძიებებს, უნდა იღონიონ, რომ ჩვენ ვვაქვს სპეციალური ვაგონ-ლაბორატორია, სადაც არიან ექიმი ბაქტერიოლოგი და ლაბორანტები. ისინი იგზავნებიან იქ, სადაც გამოვლინდება კუჭ-ნაწლავის დაავადება, და საგზაო სანეპიდსადგურის მუშაკებთან ერთად იბრძვიან ინფექციის კერის მოსპობისათვის.

მწვავე ნაწლავური ინფექციის გამომწვევი ბაქტერიების გამრავლებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იქმნება კვების პროდუქტებში. ამიტომ სანიტარულ-საკონტროლო პუნქტები განსაკუთრებულ კონტროლს უწევენ სასურსათო თვითზიდვას. დაავადების მიკრობების არსებობაზე უმიერესი ეჭვის მიტანის შემთხვევაში ტვირთს სპეციალურად ამუშავებენ, ხოლო ვაგონებს გზავნიან სადეზინფექციო სადგურში საგულდაგულო დეზინფექციისათვის. ჩვენს მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სანიტარულია და ჰიგიენის ელემენტარული ნორმების აღმაშფოთებელი დარღვევების შედეგად დავზურეთ რესტორანი და ბუფეტი ცხინვალის ვაგზალში, რესტორნები კილასურისა და სპიტაკის სადგურებში, ბუფეტი და ფარდული საგარეჯოს სადგურის მუშათა მომარაგების განყოფილებაში, № 7 და № 8 ვაგზლის ბუფეტები და № 2 კიოსკი სამტრედიაში, პავლიონი და სასაუზმე ერევნის ვაგზალში, ბუფეტი მასისის სადგურში.

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის წარმომადგენელთა მიერ არაერთგზის მითითების შემდეგ დავაჯარიმეთ თბილისის სადგური უფროსი თბილისის ვაგზალში სანიტარული წესრიგის დარღვევისათვის. დაჯარიმდა თბილისის საკვანძო დეპოს უფროსი სამუშაჯრო მატარებლების არადამაკმაყოფილებელი გამოწყობისათვის. სავალდებულო ჰიგიენური წესების დამრღვევთა მიმართ კვლავაც გამოვიყენებთ ყველაზე სასტიკ ღონისძიებებს.

რკინიგზის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის მუშაკები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ იმისათვის, რომ აღმოფხვრან დაავადების ბუნები და, კერძოდ, ნაწლავთა მწვავე ინფექციის გავრცელება.

ზ. ცინცაძე,

ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სანიტარული ექიმი.

(საქდესი).